# სამშობლო

წ. I 1915 წ.

შაბათი 7 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად შემოიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 6 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 6


ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორხავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

---

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

## „სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—8 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

ვთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“ თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მონაწილენი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია, თანამშრომლები და ასოთამწყობნი აუწყებენ ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია საკათედრო ტაძარში პანაშვიდი, ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის დიდა ბოძის

## აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2—1

---

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას 8 თებერვალს, საკრებულო ტაძარში ნაშუადღევის პირველ საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო მგოსნის

## აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2—1

---

ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიული საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე, საკრებულო ტაძარში, გარდახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენი ეროვნული სიამაყის

## აკაკის

სულის მოსახსენებლათ.

2—1

---

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქუთაისის საკათედრო ტაძარში დანიშნულია პანაშვიდი

## დიდებული მგოსნის აკაკის

სულის მოსახსენებლად.

2—1

---

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია აუწყებს საზოგადოებას, რომ 8 თებერვალს, ქ. თფილისში მგოსნის დაკრძალვის დღეს, გიმნაზიის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მისი ძვირფასი მოწაფის, მხცოვანი პოეტის

## თ-დ აკაკი როსტომის ძის წერეთლის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი 11 საათზე.

უფ.

---

ტიხონ ალექსის ძე და მეუღლე მისი ალექსანდრა გიორგის ასული ასათიანები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 თებერვალს, სოფელ ქვიტირის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი შვილის

## ანასტასიას (ტასიკოს)

სულის მოსახსენებლათ.

2—1—50

---

მწუხარებაში მყოფნი ნინა არსენის ასული ჩიმაკაძისა და მეუღლე მისი ლონგინოზ ანტონის ძე ჩიმაკაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი და ძვირფასი ბიძის,

ნადვორნი სოვეტნიკის,

## ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვაც დანიშნულია ამა თებერვლის 8-ს, დღით კვირას, დილის 10 ს., განსვენებულის სოფელ ოფურჩხეთში.

1—1—49

---

პ. ფრანგიშვილის საღამო.

ქალაქის თეატრი სამშაბათს, 10 თებერვალს, გაიმართება საყურადღებო

## საღამო-მეჯლისი

1 განყ.

ბ. აკაკი ფაღავა წაიკითხავს „სასცენო ხელოვნება“.

2. სალიტერატურო განყოფილება.

გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, შ. დადიანი ა. ფაღავა გ. ლაღიძე, პ. ფრანგიშვილი წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებს.

3. საკონცერტო განყოფილება.

პ. ფრანგიშვილი იმღერებს „ურმულს“.

მ. ბელოვანი იმღერებს ქართულ რუსულ რომანსებს.

ა. ხოჩატუროვი დაუკრავს ვიოლონჩელზე. სამი ხმა იმღერებს „ტურფავ-მოდი“.

4. ორკესტრი „კოლხიდა“ ბ. ქუთათელაძის ლოტბარობით დაუკრავს ქართულ რუსულ ჰანგებს. ქართული ხორო იმღერებს ხალხურ სიმღერებს.

5. დ. ჩარკვიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება ი. გრიშაშვილის.

## ტიმოთეს ლეღვი

ვოდევილი 1 მოქ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

1—1 გამგე ვ. ქავთარაძე.

---

## ელექტრო-თეატრი რადიუმი.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დასტირის დიდებულ მამულიშვილს აკაკის. მის ცხედრის გამოსვენებას დაესწრო მთელი საქართველო.

ეს დიდებული სანახაობა ჩვენ გადავიღეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს, რა პატივით მოეპყრო აკაკის მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება.

მობრძანდით და იხილეთ ეს დიდებული სურათი.

1) აკაკის სასახლე და ბინა, სამუშაო ოთახი, ეზო, კარ-მიდამო

2) აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.

3) როგორ ეგებება ქართველობა აკაკის ნეშტს რკინის გზის სადგურებზე საჩხერიდან—შორაპნამდე.

სეანსები დაიწყება ოთხშაბათ, 9 თებერვლიდან. თ. 51.

---


უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

---

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

---

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

---

კბილის მენაღარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.


---

# ო მ ი.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

## რუსეთ გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 5 თებერვ. უგარსკის გზით ბორინთან ჩვენ ჩამოვაგდეთ ჰაეროპლანი, რომელშიც ორი გერმანელი და ერთი ავსტრიელი იყვნენ. ჩვენ არა ერთჯერ გვინახავს ჩვენი მოწინაამდეგენი ერთად. საეტაპო სამსახურს გერმანელთა კორპუსებში ავსტრიელები ასრულებენ. მეორე ჰაეროპლანი დავხკრიტეთ იმ დროს, როცა პერემიშლიდან აფრინდა. მასში აღმოჩნდენ მხოლოდ ავსტრიელები. ჩვენს ფრონტზე გამოჩნდენ გერმანელების ლანდშტურმების დიდი ნაწილი, რომელშიც ელზასელები ურევიან და, როგორც სჩანს, გერმანელები მათ ფრანგებთან ბრძოლაში გამოუსადეგარ მეომრებათ სთვლიან. გარდა ამისა ჩვენს ფრონტზე გამოჩნდა აგრეთვე ელზასის მშვიდობიანი მცხოვრებლებისაგან შემდგარი ჯარი, რომელიც დღევანდლამდი დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა. ტუხლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ავსტრიელების ერთმა ბათალიონმა გაარღვია ჩვენი საყარაულო რაზმი. ბათალიონს სწრაფ გარს შემოვერტყით და იძულებულვყავით დაგვნებებოდენ. ხელში ჩავიგდეთ 7 აფიცერი, 4000 ჯარისკაცი და ტყვიის მტყორცნელები. დანარჩენები სრულიად ამოვჟლიტეთ. კოზიუვკოს რაიონში 3 თებერვალს ჩვენ კვლავ მოვიგერიეთ მტრისგან ხუთჯერ ზედიზედ მოტანილი იერიში. ერთი იერიშის დროს ფრთიდან დაშენილი ზარბაზნებით სრულიად ამოვსწყვიტეთ გერმანელთა ორი როტა

## სერბია და ალბანეთი.

**ნიში.** (დაგვიანებული.) პრეს-ბიურო სამი თებერვლის თარიღით იუწყება: სერბიის ჯარებმა გუშინ დაიკავეს რავიშტე. ჩვენმა ავანგარდებმა მიაღწიეს შებატამდის, რომელიც უკვე დაიკავეს. სერბიის გარნიზონი, რომელიც შებატაში იყო, უკვე განთავისუფლებულია. ამას მოუხდა ბრძოლა ალბანელების წინააღმდეგ, რომლებმაც მას რკალი შემოარტყეს მეჩეთში. სერბიის რაზმმა, რომელიც აჩქარებული ნაბიჯით მოვიდა პრიზრენში, ქალაქის ახლოს გაიარა. იმავე დღეს ის ეკვეთა ალბანელებს, რომლებიც უკუგდებულ იქნენ, შემდეგ იერიში მიიტანეს პაკლიშზე და მყისვე დაიკავეს. ამასთან ერთად ჩვენგანვე დაკავებულ იქნა ბორსკის პოზიციები. სასტიკი ბრძოლის შემდეგ სერბიის ჯარებმა უკუაგდეს ალბანელები, რომლებიც გაიქცნენ პრიშეაუცისკენ. მათ უკან დაედევნა სერბიის ცხენოსანი რაზმები. ალბანელები იხვევენ მასსისა და კორიცასა-

კენ. მტრის დანაკარგი აურაცხელია. მასანბეგი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ იერიშებს, გაიქცა და ძლივს უშველა თავს დრინაზე ცხენ და ცხენ გადასვლით. მას თან ახლდა მრავალი ცხენოსანი ჯარისკაცი, რომლებიც, ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, ყველა საზღვარგარეთლებია. თითქმის ყველა ეს ჯარისკაცები წყალში ჩაიხრჩო. მოკლულების და დაჭრილების რიცხვი ჩვენი მხრით ჯერ გამოურკვეველია. მტრის ზარალი ძლიერ დიდია. ბრძოლის შემდეგ მტერმა დასტოვა ოსმალური და ავსტრიული მრავალი თოფი. ჩვენი ჯარები განაგრძობენ მტრის დევნას.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 5 თებერვალი. ოფიციალური მოხსენება. გუშინ, 4 თებერვალს, დღის 1 საათზე და 30 წ. სტფანგვთის გემმა, რომელიც მოდიოდა შერბურგიდან დიურკერკში, შენიშნა ბარფლერის ჩრდილოეთით გერმანიის წყალქვეშა ნავი „У 16" გემი ეცადა გადარჩენილიყო, მაგრამ ნავმა მოასწრო და მისცა რა ათი წუთი მგზავრების გადმოსასხმელად, ჩასძირა. წყალქვეშა ნავს სურდა აგრეთვე ჩაეძირა ნორვეგიის გემი, მაგრამ შენიშნა ნაღმოსნების მოახლოვება, და გაიქცა.

### ჰაერში ბრძოლა.

**პარიზი.** მიუხედავათ საშინელის სროლისა, ფრანგმა სამხედრო მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გისტანსა და ოსტენდეს და მშვიდობიანათ დაბრუნდენ თავის ალაგს. ბელგიის არტილერია ესროდა გერმანელების ჯარების სადგომს. შამპანიაში ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელების ათი იერიში, დანარჩენ პოზიციებზე შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სოფია.** 5 თებერვალი. კაზინოში მომხდარ აფეთქების გამო სამსახურიდან გადააყენეს დამცველ პოლიციის უფროსი და პოლიციის ბევრი სხვა მოხელე.

**ხერსონი.** აქ მოვიდა რუსეთს მიმავალი გენერალი, რომელმაც უნდა გადასცეს უმ დღეს მთავარსარდალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ლენტი ბეჭდვითი სიტყვის ლეგიონის ორდენით. გენერალი მეფემ სააუდიენციოთ მიიღო.

**კოპენჰაგენი.** 5 თებერვალი. სამხრეთისკენ გამოჩნდა ორი ცეპელინი, რომელთაც გაიარეს კუნძულ ფანეს ახლოს. დღის პირველ საათზე უკანვე შემობრუნდენ და ნაშუადღევის 5 საათზე ისევ გამოჩნდენ. ერთ მათგანზე გაჩნდა ცეცხლი, რის გამოც ძირს დაეშვა. 14 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი დაატყვევეს.

### გერმანიის ნოტა შტატებისადმი.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იუწყებიან, რომ გუშინ საღამოთი გერმანიის მთავრობამ შეერთებულ შტატების ელჩს ჩააბარა ნოტა, ჩრდილოეთის ზღვაში ნაოსნობის შესახებ. ნოტაში გამოთქმულია მეგობრული განწყობილების სურვილი ორივე სახელმწიფოს შორის. ნოტაში ნათქვამია, რომ ამდენ ხანს გერმანია იცავდა საერთაშორისო ყველა დადგენილებას საზღვაო ბრძოლის შესახებ. ჩამოთვლილია ყველა ის ფაქტი, რომლითაც ინგლისი არღვევდა საერთაშორისო უფლებებს, გერმანიამ ინგლისს საშუალება მისცა დანიიდან გაეტანა სურსათი და მცხოვრებლებისათვის უსაჭიროესი სანოვაგე იმ დროს, როდესაც ის ცდილობს გერმანიის მშვიდობიანი მცხოვრებლები შიმშილით ამოწყვიტოს, ამისთვის გერმანიის მთავრობამო, ნათქვამია ნოტაში, გადასწყვიტა ინგლისთან საზღვაო ბრძოლა მეტის ენერგიით აწარმოვოსო. გერმანიამ მტკიცეთ გადასწყვიტა ყოველგვარი საშუალება იხმაროს, რომ ინგლისსა და მის მოკავშირე ქვეყნებს არავითარი სამხედრო მასალა არ მიუვიდესთ სხვა ქვეყნიდან. და თუ ინგლისის ასეთ თავგასულობას ყურადღებას არ მიაქცევენ ნეიტრალური სახელმწიფოები, გერმანია, რამდენათაც ეს შესაძლებელია, დაკეტავს ზღვებს და ნაღმებით მოსპობს ყველა სახელმწიფოების სავაჭრო თუ სახედრო გემებს და ამის შესახებ არავითარ პასუხს არ აგებსო. შემდეგ ნოტაში ნათქვამია: გერმანია მზათ არის ამერიკის მთავრობასთან ერთად გადასინჯოს ყოველნაირი ზომა და საშუალება, რომ შესაძლებელი იქნეს კანონიერი ნაოსნობაო. ნოტა განაგრძობს: გერმანიის წყალქვეშა ნავების სარდალს ებრძანა, რომ ამერიკის გემების წინააღმდეგ არაფერი ჩაიდინოს. გერმანიის მთავრობა წინადადებას აძლევს ამერიკის მთავრობას, რომ ამერიკის გემები, ზღვაში დარაჯთა რაზმით გამოდიოდენ, იმ პირობით, თუ გემებზე არ იქნება რაიმე კონტრაბანდი. თუმცა უფრო კარგი იქნებოდა ებრძანებინა შტატების მთავრობას თავის სავაჭრო გემებისთვის, ვიდრე საკითხი დაბოლოვდებოდეს, ზღვის სამხედრო მოხაზულებაში ნუ გამოვლენ. დაბოლოს ნოტა გამოსთქვამს სურვილს, კარგი იქნებოდა ამერიკის რამენაირათ მოეპოვებინა უფლება მეომარ სახელმწიფოთაგან, რათა გერმანიაში შემოეტანა მცხოვრებლებისთვის საჭირო სანოვაგეო.

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

### ა კ ა კ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს.

ნათლით მოსილო! მედგრმა მკვლევარმან, შენ მრავალგან ნახე შენს საყვარელ ერში ქართველი დედის გადაგვარებული სახე. ამან შეგაძრწუნა, ხმა აღიმაღლე და რაკი აქ სანუგეშო ველარა ჰპოვე-რა, ისტორიულ წარსულში ეძიე სრული სახე ქართველი დედის პიროვნებისა, შემოსე იგი დიადი სახიერებით, ზნეობრივის შარავანდედით და წარმოგვიდგინე თვალის წინ. ჩვენ შევკრთით ამ დიდებული პიროვნების წინაშე, ვიგრძნეთ ჩვენი გადაგვარება, დაწვრილმანება, შევრცხვა მისგან და დავადექით გამოკეთების გზას, ვისურვეთ მზგავსება მისი ოდნავ მაინც ზნეობაში და მამულიშვილთა აღზრდაში. მე, შენმა წრფელმა მოწაფემ, მრავალჯერ აღვიმაღლე ჩემი მკრთალი ხმა ქალთა ზნეობის დასაცავად, მის უმაღლეს საფეხურამდე ასავლენად; მრავალჯერ ვიგემე მწვავე დევნა-კიცხვა ამისათვის. მაგრამ აღვუთქვამ შენის დიდებულის ცხედრის წინაშე, რომ არას დროს არც აწ, არ შევუშინდე არავითარს სასჯელს კუბოს კარამდე, არ დავდუმდე და მუდამ გულით ვატარო შენი წმინდა მცნება ქართველ ქალთა ზნეობრივად აღსაზრდელად და შვილთა შორის მამულიშვილურ მოვალეობის განსამტკიცებლად.

ე. თვაალჭრელიძისა.

---

ცხარე ცრემლით ვსტირით დიდებული მამულიშვილის დაკარგვას, რომლის „ნანინათიც" აღვზარდეთ ჩვენი შვილები, რომელშიაც „გაფურჩქნული გლეხის შვილი" იხსენებოდა. და აი სწორეთ ჩვენ, გლეხები ცხარე ცრემლით მოვსთქვამთ აკაკის დაკარგვას.

ვუერთდებით ქართველი ერის მწუხარებას და მწარეთ ვსტირით.

რამდენიმე გლეხის მონდობილობით

თამარა აბდუშელიშვილი.

---

ჩაჰქრა მნათობი სანთელი, სანთელი რომელიც გვინათებდა ბნელ გზას და რომელიც სამშობლოს კეთილ გზისკენ გვიძღოდა, დავკარგეთ იგი ხორციელათ, მარა არას დროს არ დაიკარგება მისი სული და ნაწარმოებნი. ცხარე ცრემლით მუხლს ვიდრეკთ მისი ცხედრის წინაშე.

დათიკო, ნინო და მიშა მესხნი.

---

ვწუხვართ დიდებულ ბიძიკოს აკაკის დაკარგვას იმ ბიძიკოსი, რომლის ლექსებითაც აღვიზარდეთ და დღესაც მის რჩეულ ლექსებს ვიზეპირებთ. არას დროს არ დაივიწყება ჩვენს სამშობლოში მისი ჰდარა და ტკბილი ენა. ვუერთდებით სამშობლოს მწუხარებას.

კლავა, ლიუსია და ლილი კოსტავანი.

---

ქუთაისის ხაზინის მოსამსახურე ქართველები, უერთდებიან რა საერთო ნაციონალურ გლოვას დიდებული მგოსნის, ქართველთა ერის სიამაყის და მის დარაჯის აკაკის გლოვაში, მუხლმოდრეკით ეამბორებიან მის სპეტაკ შუბლს.

ამხანაგების მონდობილობით

ალ. თუმანიშვილი.

---

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულების კარგათ მცოდნე ბ. თ. კიკვაძე გაზ. „ახალ-აზრში" აკაკის ანდერძის გამო სწერს:

„აკაკიმ თავისი ანდერძით უარჰყო გვირგვინებით კუბოს შემკობა. ამ აზრს ის მუდამ ქადაგებდა, მარა ვერ ჰპოულობდა ნიადაგს ჩვენს საზოგადოებაში. მის ასეთ შეხედულობას არა თუ არ იზიარებდენ ჩვენი მწერლები და მოღვაწეები, პირიქით, ხშირად კიდეც დასცინოდენ.

თავდაპირველად გვირგვინების ხმარება ჩვენმა ინტელიგენციამ შემოიღო ამ 20—30 წლის წინეთ. შემდეგ ეს ჩვეულება სოფლებშიაც გადავიდა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და დაბალ ხალხში ამ ბოლო დროს ისე გავრცელდა და ისეთი მავნე ხასიათი მიიღო, რომ დამაფიქრებელ და საჭირბოროტო საკითხად გახდა.

მწერალი, რომელიც სიცოცხლეში შეუმჩნეველი არის, რომელსაც უფლება აქვს სიკვდილის ჟამს მიმართოს უმადურ საზოგადოებას და უთხრას აკაკის სიტყვებით: „სიღარიბე კვალში მდევდა, კარი-კარზე დამატარა"-ო, სიკვდილისთანვე ერთ დიდ ბუმბერაზად იქცევა. დიდებული დასაფლავება, აუარებელი გვირგვინები, კიდევ მეტი სიტყვები—აი როგორ ისტუმრებენ ჩვენში საქართველოს განამწარებს საიქიოსკენ.

მოკვდება თუ არა სოფელში რომელიმე ჩარჩი ან მარჩიელი ქალი, სწრაფად შეინძრევა მთელი მათი ნათესაობა. აბა როგორ შეიძლება, რომ ნათესავმა, მახლობელმა, მეგობარმა გვირგვინით არ შეამკოს განსვენებულის ცხედარი!.. ვისაც შეძლება არ აქვს ის მამისისხლად ნისიათ იღებს ადგილობრივი მღვდლისა ან მედუქნისაგან გვირგვინს, რომ ნაცნობ-მეგობრებში „არ გამოსწყდეს" და „თავი არ მოეჭრას".

ეს ერთი ბელა ასე თუ ისე შეიძლება მოითმინოს კაცმა, მარა ახლა გვირგვინთან ერთად სიტყვის წარმოთქმაც რომ მოახერხოს, ეს ხომ კიდევ მეტ სახელს მოუხვეჭს მიცვალებულის პატივისმცემელს.

მარა ყველას ხომ არ შეუძლია სიტყვის შედგენა. ამიტომ ხშირად სხვებს აწერინებენ სიტყვებს და თვითონ კი კითხულობენ დასაფლავებაზე. ამ გარემოებამ გააჩინა სოფელში სიტყვების დამწერნი და წარმომთქმელნი, რომელთაც ამით გაუხსნდათ ცხოვრების ახალი წყარო.

ძველად რომ ჩვენში მოტირალის დაქირავება იცოდენ, ჩვენს დროში ისევ განახლდა ეს დავიწყებული ჩვეულება, მარა შეცვლილი სახით, კულტურული გარეგნობით.

ასე; ჩარჩის, მარჩიელის და ვაჭრის და აზნაურის ცხედარს ამკობენ 10—15 გვირგვინით და უძღვნიან ამაღელვებელ „მჭერმეტყველურ" სიტყვას...

აქედან ცხადია, რომ ჩვენში გვირგვინმა დაკარგა თავის მნიშვნელობა და გადაიქცა უბრალო ფარისევლობათ.

ძველ საბერძნეთში გვირგვინით თავის შემკობას მხოლოდ წარჩინებული და საქვეყნოთ სახელ-განთქმული თუ ეღირსებოდა, თორემ უბრალო მომაკვდავთათვის ის მიუწდომელი იყო. იქ უმაღლეს ჯილდოთ დაფნის გვირგვინი ითვლებოდა, ჩვენში კი დაფნას რკინა და ჟესტი შეეცვალა დაამარცხა და გვირგვინების მოტრფიალეთა ჯიბეებიც დაატალიერა.

რა თქმა უნდა, საჭირო და აუცილებელი იყო ასეთი უკუღმართობის გამოსწორება. და აი, განსვენებული აკაკიც ამას ცდილობდა თავის სიცოცხლეში, მარა საწადელს ვერ მიაღწია. სამაგიეროთ დღეს უტყვმა და გაციებულმა აკაკიმ დასთრგუნა ეს მავნებელი ჩვეულება, რომელსაც სიცოცხლეში თავის მჭერმეტყველობით ვერ დასძლია.

დიდ-ბუნებოვან ადამიანებს არ ესაჭიროებათ გარეგანი თვალის-მჭრელი პატივისცემა. ვინც მათ აფასებს, ისინი უპირველეს ყოვლისა ვალდებულნი არიან ემსახურონ იმ იდეას, რომელსაც სთესავდა სიცოცხლეში მათი სათაყვანებელი მოღვაწე. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ჩვენისთანა ხალხზე, რომელიც ქონებრივათ დაქვეითებულია.

და დიდებული მგოსნის ანდერძიც ამასვე გვასწავლის. ის გვავალებს, რომ იმ გვირგვინების საფასური, რომლებითაც მის ცხედარს ბრწყინვალედ შეამკობენ, მიემატოს ზეპირ სიტყაობის ფონდს".

ფრიად საყურადღებო შენიშვნაა და კარგი იქნება, რომ სოფელში მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ სოფლის ინტელიგენციაც ხმას ამოიღებდეს.

---

# აკაკის ჩანგი,

### (მოკლე მიმოხილვა).

კაცს ბულბულის ენა უნდა ჰქონდეს და ია-ვარდების მგრძნობელობა, რომ სავსებით დახატოს,—სავსებით კი არა დაახლოვებით მაინც გადასცეს მსმენელებს,—ის ზეალტაცება, ის ზემგრძნობელობა და სინარნარე აკაკის პოეზიისა, რომელი პოეზიაც ანგელოსთა გალობა გეგონებათ და „ღვიურ სიცხადით" გულდაჩაგრულს ტრფობისა და უკვდავების მთაზე გაყენებთ.

აკაკის ლირიკული ლექსები სიტყვიერი მუსიკაა, თუკი ასე შეიძლება ითქვას,—მუსიკა გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მუსიკა გამხეცებულ ადამიანის დამამშვიდებელიც კი,—მუსიკა ენამზიანობისა და ქართული ენის კაზმულობისა.

აკაკის ლირიკული ლექსები—ეს ღვთაებრივი გამოხატვაა ჩვენის მშვენიერის ქვეყნის სიკეკლუცისა, ჩვენის სამშობლო მთების მედიდურობისა და გულჩათხრობილობისა, ჩვენის ერის გულის ტკივილისა, ჭირისა თუ ლხინისა.

აკაკის ლირიკული ლექსები—სტვენაა ბულბულისა და კრთლვაა გაზაფხულის ნიავისა, რომელი ნიავიც ისე საყვარლად აბიბინებს ხოლმე ყვავილ-ბალახებითა და ყანა-ჯეჯილებით დაფენილ ველ-მინდორს საქართველოისას.

ლამაზი, სუბუქი, ტკბილი ქართული სიტყვები მარგალიტებით აუსხავს ჩვენს ღვთიურ მგოსანს და დიად ჰანგებით ქცეული სიტყვები იგი ჯადოქრულის ძლიერებით გატკბობთ, გხიბლავთ, გამხიარებთ, გაცინებთ და გატირებთ. თუ კი რუსეთს შეუძლია იამაყოს პუშკინით და მსოფლიო პოეტთა შორის საპატიო ადგილი დაუთმოს, ჩვენ უფრო შეგვიძლია ვიამაყოთ აკაკის პოეზიით!.. ჩემის აზრით, აკაკი ჩვენთვის უფრო მეტია ვიდრე პუშკინი რუსებისათვის; იმ დროს, როდესაც მაღალი წოდების პუშკინი მაღლიდან დაბლა დასცქეროს ხალხს და პარნასის მწვერვალიდან გადმოსძახის: „მომწყდით თავიდან ბრბოო, უკმეხო და ბრბოო უშვერო—რა კითხვა მშვიდსა პოეტს თქვენი საქმისაო" აკაკის „პოეტი" „ფუტკარია, ხატის ბუზი, ზეცის მუშა, შორს მიფრინავს სამუშაოდ, მიიმღერის უხარია! ყვავილიდან ყვავილებზე გადაზუის, გადმობზუის, იქაც წუწნის აქაც წოწნის სათაფლ-სანთლე მასალასა, არ იზოგავს ღვთის მოცემულს არც ნიჭსა და არც ძალასა"! პოეტი აკაკი წერეთლისა—

> არც დიდია, არც პატარა,
> არც ბატონი და არც მონა,
> არც მიწის არის, არც ცისა,
> შუა კაცია უბრალო
> ხან მიწის არის, ხან ცისა!

აკაკი პირად გრძნობებს გვერდს უხვევს, მას არ ახსოვს თავისი თავი, იგი განხორციელებული ტრფიალია, უკვდავი მგოსანია, სიმბოლიური მღაღადებელია საერთო, საზოგადო, საქვეყნო საქმისა. მისი სატრფო (ერთადერთი სატრფო) „უწინ ტურფა, დღეს კი ლეჩაქ მოხდილი"! თქვენ ალბათ მიხვედრილი ხართ, რომ ეს სატრფოა—საქართველო! მაშასადამე, აკაკი წერეთელი გამომხატველია საერო გრძნობათა, საქვეყნო ჭირ-ვარამისა, მისი ტანჯვა—ტანჯვაა ხალხის უმრავლესობისა. ყველაფერი, რაც კი ქვეყნად არსებობს, ზღვა, ცა, მიწა თუ წყალი, მთანი თუ ღრენი, სულიერი თუ უსულო, ყველაფერი მეთქი, ენას იდგამს პოეტის ხელში და ერთსა და იმავე „სატრფოს" შესტირის, შესჩივის, აფხიზლებს, მკურნალობს, სდარაჯობს. მართალია, სამშობლოსათვის გოდება არ არის დაუსრულებელი გრძნობა, მაგრამ, ვიდრე „სატრფო" ავად არის, ვიდრე იგი გზაკვალ აბნეულია, ვიდრე იგი ლეჩაქ მოხდილი და გაუპატიურებულია, ვიდრე იგიც არ გამოფხიზლდება და ბედნიერი ბედნიერთა შორის არ ჩაერევა, მგოსანს გული საგულეს არა აქვს და მისთვის „ზეც არ ანათებს". სამშობლოსათვის თავგანწირული მგოსანი თავის სიცოცხლეს ხატის წინ ანთებულ სანთელს ადარებს:

> ის საიდუმლო პარპალით
> ბნელს ფანტავს თვისი ნათელით.
> მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
> დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
> რომ მადლით გაასპეტაკოს
> თვალ-უწდომელი წყვდიადი!
> მივსჩერებივარ ამ დიდ ძალს
> მწარ-ტკბილად ჩაფიქრებული,
> მეც უსიტყვოდ, უძრავად,
> ცის სვეტად გაქვავებული.
> რაღაც უცნაურ ერთობას
> გხედავ სანთელს და ჩემს შუა.
> მხოლოდ ვგრძნობ... თვარა ვერ სწვდება
> ჩემი ჭკუა და გონება;
> სანთელი მგოსნის ხორცია,
> სიცოცხლე მოკლე პატრუქი,
> ნათელი—ჭკუა-გონება
> იმათგან გამონაშუქი.
> ჩემი ხატია—სამშობლო,
> სახატე—მთელი ქვეყანა
> და რომ ვიწოდე, ვდნებოდე,
> არ შემიძლიან მეც განა?
> კი მაგრამ,—
> მნათე არსად სჩანს,
> ჩემთან მომტანი ცეცხლისა,
> ის მოციქული მომავლის
> მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა.

ამ დიდებულ და ზე-პოეტურ ლექსიდან ნათლადა სჩანს უმთავრესი მოტივი აკაკის ლირიკულ პოეზიისა და სწორედ ამაზე უნდა მიმექცია თქვენი ყურადღება. აქედანვე ნათლად სჩანს, რომ მისი „ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა", ე. ი. სჩანს, ის, რომ ჩვენი პოეტი მლოცველია არა მარტო თავის ქვეყნისა, არამედ მთელი კაცობრიობისაც და თუ უფრო ხშირად თავის ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე ჰფიქრობს,—უნდა რომ ეს ქვეყანა ღირსეული წევრი შეიქნეს საერთაშორისო მეჯლისისა.

რაკი აღვნიშნეთ უმთავრესი მოტივი აკაკის პოეზიისა ახლა, ადვილათ გავითვალისწინებთ და განვიცდით აკაკის უთვალავ მშვენიერ ლექსების მრავალ შტოიანობასაც. მათი სათითაოდ ჩამოთვლა არც საჭიროა და შეუძლებელიც არის, მათ მღერის და ამბობს მთელი საქართველო, მთელი ჩვენი ახალთაობა. თითოეულმა წერა-კითხვის მცოდნე ქართველმა იცის, რაც არის პოეტის გულის ტკივილი და როგორის ძლიერებითაც არის გამოთქმული ეს გულის ტკივილი, მე მინდა, ასე ვსთქვათ, ხაზ-გასმით აღვნიშნო მხოლოდ ორი შტო, ორი დიდი შტო აკაკის პოეზიისა უმთავრესის მოტივისა, დედა-ძარღვისა. ერთი შტო გახლავთ—სიყვარული, მეორე შტო კიდევ—ვანდელ ქართველ ქალების დაწვრილმანება და გადაგვარება.

პოეზიის საამქვეყნო და საიმსოფლო საფუძველი არის სიყვარული. ამ გრძნობას უგალობენ ყველა ქვეყნისა და დროის პოეტები. ეს გრძნობაა მათი შთაგონება, მათი ზეალმტაცი, მათი სამოთხე და ჯოჯოხეთი. აკაკიც, როგორც უდიდესი ლირიკოსი ჩვენის მწერლობისა, თავს დასტრიალებს სიყვარულის ჰანგებს, ვინაიდან უსიყვარულოთ ადამიანი მხოლოდ „უსულო ლეშია! დამავიწყდა მეთქვა, რომ აკაკი რეალისტი პოეტია და როგორც ეგრეთი—ერთის ჩვენის კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვსთქვათ—„სიყვარულის იმ მხარისათვის უნდა მიექცია ყურადღება, რომელიც, რეალიზმის მამათმთავრების აზრით, არის ერთადერთი ღირსი ყურადღებისა, ე. ი. ფიზიოლოგიური მხარე ამ გრძნობისა, რადგან რეალურის ფილოსოფიის აზრით სულიერი მხარე სიყვარულისა შეთხზულია მეოცნებე პოეტებისა და იდეალისტებისაგან. ამ აზრს ადგია აკაკი წერეთელიც, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ვარდ-ბულბულიანს იგი ხმარობს სიმბოლოდ დიდის გრძნობის—სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, აკაკი შეიჩვია იმ აზრს, რომ სიყვარული დიდი მოთხოვნილებაა კაცის არსებისა და ამიტომ უფრო სერიოზულად უყურებს და უფრო ხშირად მის იდეალურ და საოცნებო მხარეს აძლევს მნიშვნელობას, რაც არა სჩვევია რეალურ პოეზიას. (კ. ბაშიძე—„ა. წ. ქუთაისი 1908 წ.) თუმცა ხშირად სიყვარულის ხორციე

# აკაკის ცხედრის მოსვენება თფილისში.

ხანგრძლივ ყინვებისა და სევდის ალმ-ძკრულ ამინდის ნაცვლად 5 თებერვალს მშვენიერი მზიანი და თბილი დღე დადგა და სამგლოვიარო დღესასწაულისთვის დიდებულად მორთო მთელი თფილისი.

მზე დილიდანვე ძალას არა ზოგავდა და თანდათან ემზადებოდა, რათა „ღიმილით მიჰგებებოდა" საქართველოს უგვირგვინო მეფეს, უკვდავების სხივებში ნათელ-ღებულს.

ამ დროს, რასაკვირველია, ხალხიც დიდს მოუთმენლობას გაიცდიდა. ყოველი პატივისმცემელი ამ დიდ ადამიანისა სცდილობდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა გაეთავებინა თავის შინაური საქმე და დროზე გასულიყო სადგურზე წმინდა ნეშთის შესახვედრად.

**სადგურზე.**

ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებდა საქართველოს მომავლის აკაკის დახვედრაში, სადგურზე უნდა გამოცხადებულიყო ნაშუადღევის სამის საათისთვის, მაგრამ ჯერ ორი საათიც არ იყო, რომ ზღვა-ხალხი მოაწყდა სადგურს.

კომიტეტის წევრნი მაშინვე შეუდგნენ ხალხის წესრიგით დაყენებას.

მატარებელს, რომელიც 3 საათ'ა და წუთზე მოვიდა ძვირფას ნეშტით, ხალხი სამღვთო მოწიწებით მიეგება. მატარებელი მორთული იყო ყვავილებით. ფანჯრებში გადმოკიდებული იყო სამგლოვიარო დროშები. მატარებელს დიდ-ძალი ხალხი მოჰყვა. კუბო გადმოასვენეს სადგურის მოედანზე, სადაც წინადვე ჩამწკრივებულნი იყვნენ წარმომადგენელნი, დეპუტატები, მოსწავლენი და სხვანი, სადაც გადახდილი იქმნა მცირე პანაშვიდი. აქ თფილისის კომიტეტის სახელით ბელეტრისტმა ი. ე. ზურაბიშვილმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„არ მომკვდარა,—მხოლოდ სძინავს!

აი გულისთქმა, რომლით გიხვდება შენ „პირმზეო მგოსანო, საქართველოს დედა ქალაქი თფილისი!

შენ მიაღწიე სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს, სადაც შენივე თქმით, უნდა გაიყარნენ ეს ქვეყანა და ის სოფელი.

სიკვდილი და უკვდავება გარს დაგტრიალებენ და ერთმანეთს ჰმეტოქეობენ!

სიკვდილმა ფრთა შეახო მხოლოდ ხორციელ არსებას!..

სიმკრთალე მოჰფინა შენს მშვენიერ სახეს. საუკუნოდ მიჰბინდა „სულის და გულის სარკმელნი"—შენი თვალები, სამუდამო დუმილით შეჰკრა სიბრძნის და სიცოცხლის მეტყველნი შენი ბაგენი...

მაგრამ სიკვდილი,—"ეს უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა", მაინც უძლურების მღაღადებელია. მან ვერ შეჰმუსრა ის, რაც მარადისობისთვის იყო მოვლენილი, ვერ მოაკვდინა შენი დიდებული სული, სული ტურფა, სული შემოქმედი, სული სამშობლოსათვის თავგანწირვი!

იგი კვლავ ჩვენ შორის იტრიალებს, რადგანაც წილხვედრია უკვდავებისა.

და თუ მაინც და მაინც ვგლოვობთ და ვტირით,—მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მარტოოდენ ძე—ხორციელნი ვართ, მიწის შვილნი! ცხოვრების სიცხადით დაბეჩავებულნი ვერ ავმაღლებულვართ იმ საიდუმლოებით აღსავსე განცდამდე, თუ რა სასწაულ-მომქმედია შენი გრდაცვალება, დიაღ გარდაცვალება და არა სიკვდილი!

თვით ეს გარდაცვალება განა სიმბოლო არ არის შენის უკვდავებისა?!

სამყაროს დიადი მანათობელი ჩასვენების ჟამს სხივნართად მოაფენს ხოლმე ქვეყანას თავის მრავალფრად ანარეკლ ნათელს. შენც შენის გარდაცვალებით კვლავ მოგვფინე შუქი სულმნათობისა! ამ საიდუმლო გარდაქმნით კვლავ შეგვაერთე ერთის გრძნობით, ერთის მისწრაფებით, განგვისპეტაკე სულიერი ნდობანი! დავივიწყეთ ყველაფერი, რასაც კი საყოველთაო, საპირადო იერი ჰქონდა და ვეზიარეთ შენს წმინდა ანდერძს „რომელიც გვასწავლის უზენაეს გრძნობას—სამშობლოს სიყვარულს!

მერე, როგორ სიყვარულს! სიყვარულს რომელიც წმინდა სანთელივით სწვავდა შენს ისედაც მგზნებარე არსებას, სიყვარულს, რომელიც შეუძლიან წარმოშობოს მხოლოდ ცისა და დედამიწის კავშირმა.

დიახ, შენ ჩაესვენე ქვეყნის მანათობელივით და იმავე მანათობელივით კვლავ ამოაშუქებ.

ის წმინდა ადგილი მამა-დავითის საფარველ ქვეშ, რომელიც შენმა მადლიერმა ერმა განგიმზადა საუკუნო განსასვენებლათ და სადაც მოგელის შენი თანამოსაზრე ელია,—იქნება არა სამარე არარაობისა და სიჩუმისა,—არამედ სავანე დაუსრულებელ სიცოცხლისა.

იქ შენი წმინდა ხატება, ლამპრის იდუმალ ნათლით გაშუქებული, გახდება სიმბოლო საქართველოს სხივოსან გულისა.

აქ-კი, ცხოვრების წიაღში, შენ მიერ გადმონაცემი უზენაესი ზრახვანი მოავლინებენ ქართველ ერს ახალ სასიცოცხლო ძალას და მით აღსრულდება შენი წინასწარმეტყველება: „სიკვდილში ვპოვებ მე სიცოცხლესა და ის იქნება თვით უკვდავება".

მოედნიდან სამგლოვიარო პროცესია საღამოს ხუთის ნახევარზე დაიძრა.

# ახალი ამბავი.

გაზეთ. „სამშობლოს" რედაქცია ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილება, ეთნოგრაფიული საზოგადოება და შავი ქვის საბჭოხვალ, ნაშუადღევის 1 საათზე საკათედრო—ტაძარში გადაახდევინებენ პანაშვიდს ჩვენი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

ვისაც სიტყვი'ს თქმა ნებავს დღეს, საღამოს 8 საათამდი წინასწარ უნდა ჩაეწეროს საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან ბ ნ ი. თ. ცინცაძესთან გაზ. „სამშობლოს" რედაქციაში.

✦ შინაგან სამინისტროდან ქუთაისის გუბერნატორს შემდეგი დეპეში მოუვიდა:—

„რადგანაც ამ მიმდინარე წელს გაწვეულნი იქნებიან 1916 წ. გასაწვევი ახალგაზდები, გთხოვთ აცნობოთ ჯეროვან დაწესებულებებს, რომ წლოვანობის მოწმობანი წარმოადგინონ არა უგვიანეს 1 მარტისა"-ო.

✦ გაზ. „იმერეთის" რედაქტორის ბ. ჯაიანის საქმე, რომელიც დანიშნული იყო გასარჩევად 5 თებერვალს თფილისის სასამართლო პალატაში, მოწმეების დაუსწრებლობის გამო, შემდეგისათვის გადაიდვა.

✦ როგორც ოკრიბიდან გვატყობინებენ, იქ ძლიერ გავრცელებულა სახადი. უექიმოთ მიტოვებული 'გლეხები დიდ გაჭირვებაში არიან.

✦ სამხედრო ბეგარის მოსახდელათ ქუთაისის მეორე უბანში კენჭის ამოღება დაიწყება 9 თებერვლიდან და 17 თებერვლამდი გასტანს.

✦ საგუბერნიო მომხმარებელი საზოგადოება—„კოოპერაციის" დამფუძნებელი კრება, რომელიც 4 თებერვალს უნდა შემდგარიყო, აკაკის გარდაცვალების გამო 15 თებერვლისათვის გადაიდვა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების" მორიგი მესამე ნუმერი. ნომერი ჩინებულათ არის შედგენილი და ბევრი საყურადღებო წერილებია შიგ მოთავსებული.

✦ 5 თებერვალს, თფ. სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია გაზ. „აზრის" რედაქტორის კ. ცერცვაძის საქმე. პალატამ ცერცვაძეს მიუსაჯა 1 წლის ციხე.

✦ დღეს 7 თებერვალს, თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს ყიფიანის, ლარალიძისა და კვიტარიას საქმეს.

✦ თებერვალს გაიმართება პ. ფრანგიშვილის საღამო. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, აკ. ფაღავა, შ. დადიანი, გრ. ლაღიძე, პ. ფრანგიშვილი და სხვები.

✦ ორშაბათს, 9 თებერვალს, ოლქის სასამართლო გაარჩევს კალენიკე კახიანის, ისიდორე ეჯიბაიას, ბეგლარ გახუნიას, ადა კირიას, ირ. თალიკაძის და სხვების საქმეს.

# თფილისი.

— ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების ბიუროს კრება. 8 თებერვალს დანიშნულია სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების ბიუროს პლენარული კრება. კრებამ უნდა განიხილოს გადამდებ სენთან ბრძოლის საკითხი და საკითხი დაჭრილ მეომართა საზაფხულო შენობებში გადაყვანის შესახებ. ხსენებული ბიუროს წევრებს დაურიგდებათ კავკასიის ბიუროს მოღვაწეობის ანგარიში დღიდან დაარსებისა 1 თებერვლამდე.

— დახმარება გამოქცეულებს. პეტროგრადიდან „მშაკს" ატყობინებენ, რომ იქ შესდგა ომის გამო ოსმალეთის საზღვრებიდან გამოქცეულ სომეხთა დამხმარე რუსულ-სომხური კომიტეტის კრება. კრებას მოახსენეს, რომ პეტროგრადის საზ[illegible] გამოქცეულთა დასახმარებლათ გადასდო 50 ათასი მანეთი. კრებაზე [illegible] კომისიის არჩევა, რომელსაც [illegible] მოქცეულებისათვის შემოწირულებათ შეგროვება.

# ომში დაჭრილი ქართველი ჯარის კაცები.

**ესენტუკში № 3 (თერგის ოლქი) იმყოფებიან.**

სიმონ სტეფანეს ძე, (?) ახალციხიდან, ფეხები აქვს გაცივებული. მიხეილ გიორგის ძე ჰ ლიძე, გორ. მაზ. ს. ხურვალეთი, ფეხები აქვს წაყინული. გიორგი ელიზ. ძე ჩიმბაიშვილი, გორ. მაზ. ს. ვარიანი, გაცივებულია. მიხეილ ზურაბის ძე გასიშვილი, გორ. მაზ. ს. ქრია (?) გვერდები სტკივა. იოსებ ბას. ძე შალიკაშვილი, სიღნაღიდან ს. ნუკრიანი, დაჭრილია ხელში. ნიკოლოზ ისაკის ძე ღუხაშვილი, სიღნაღიდან ს. ბოდბისხევი, დაჭრილია ხელში. იოსებ ისაკის ძე ალადაშვილი, თელავის მაზ. ს. კონდოლი, ფეხები აქვს გაყინული. ილიკო ალექსის ძე გუჩვაძე, ქ. თფილისიდან, გაცივებულია. ნიკოლოზ ანდრიას ძე ბარათაშვილი, ქ. თფილისიდან, გაცივებულია. ვასილ -ივანეს ძე ხორბალაძე, თფილ. მ. ს. დოესი, გაცივებულია. გიორგი სოლომონის ძე მარგიშვილი, გორის მაზ. ფეხები სტკივა. სიმონ ანდრიას ძე პაიკიძე, ქუთ. მაზ. ს. დვალი, გაცივებულია, გერასიმე კონსტანტინეს ძე კვარცხელია, ზუგდიდ. მაზ. ს. ჯგალი. ნიკოლოზ ივანეს ძე სიხარულიძე, ოზურგ. მაზ. ს. ციხე. გაცივებულია. პროკოფი ივანეს ძე სირაძე, ოზურგ. მაზ. ს. ბასილეთი, გაცივებულია. ივანე სიმონის ძე ბურდული, დუშეთის მაზრა სოფ. დოლოსქედი, გაცივებულია. გიორგი ესტატ. ძე მეხალოვი, გორ. მაზ. გაცივებულია. ტარიელ ბასილის ძე სანდუხაშვილი, (?) ზესტაფონი, ს. კვალითი. კაზო გრიგოლის ძე ხალათოვი, ქ. თფილისიდან, გაცივებულია. გიორგი დავითის ძე ადუაშვილი, გორ. მაზ. ქუსლები აქვს წამძვრალი ფეხებზე ყინვისაგან. ანტონ ეგნატის ძე გვასალია, ზუგდიდ. მაზ. ს. ხარბი, გაცივებულია. ისიდორე (?) სულამანიძე, ქუთ. მაზ. ს. სიმონეთი, გაცივებულია. ალექსანდრე ეგნ. ძე ნადირაძე, ახალციხე ს. ქილდიდან. გაცივებულია. სილოვან გრიგ. ძე აბრამიშვილი, საჩხერე ს. სარეკი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯარის-კაცები ოსმალეთის საზღვრიდან არიან.

---

ლობასაც თავისებურ წარმტაცის ენით ასე გვიხატავს:

„სიყვარული ჩემ ძარღვებში სისხლს აღელვებს

მამშილითა შეკაზმულს". ან კიდევ „ეს შარბათი მე რომა ვსვამ

„ხან მწარეა და ხან ტკბილი,
და არ ვიცი რა გარჩიო
მე სიცოცხლე, თუ სიკვდილი!
ტკბილ შარბათსა დაეწაფე,
მწარეს აარიდე თვალი.
სადაც ვარდი აკოკრდება,
იქ ეკალიც ხომ იჩენს პირს,
მაგრამ ბრძენი მხოლოდ ვარდს ჰკრეფს,
ეკალზე კი არ ახევს ცხვირს!
ქალიც ვარდის ჯაგი არის,
ეკალთან აქვს ყვავილები,
ორში ერთი აირჩიე,
თითონ ჯაგს თავს რად ევლები?!

ან კიდევ:

... „ტრფობის ბუდეა მშვენება,
თავდები სიჭაბუკეა
და ეს ორივე აკლია,
ვისაც ჭკადარა უმკია.
სიჭაბუკე და სიბერე
ორი სხვა და სხვა კიდეა,
ერთი რომ ჯაჭვით აბია
მეორე ბეწვზე ჰკიდია.
ის გაზაფხულის იაა,
გარს ეხვევიან ვარდები,
ეს შემოდგომის ფოთოლი,
სიომ ჰკრა ჩამოვარდება,
და გაშრა ტრფობის ასზე
გულში ძველიდა არხია,
მოდგება ცნობის მოყვარე,
თან გადმოჰყვება სურვილსა,
მაგრამ უკანვე იქცევა

რომ ვერ მოიკლავს წყურვილსა,
სიჭაბუკესა მიჰმართავს,
მასთან დაიჭერს კავშირსა,
პატარა ნაპერწკალი სჯობს
დიდს, მაგრამ ცივსა ნახშირსა.

ასეთის გატაცებითა და აღფრთოვანებით უგალობს პოეტი სიჭაბუკეს—სიყვარულის ხორციელობას, მაგრამ ყველა ამას პოეტი დროებითად, წარმავალად სთვლის, უკვდავ და ნამდვილ სიყვარულის ღირსად მხოლოდ ის ქალი მიაჩნია, რომელიც არის

ჭეშმარიტების გრძნობით აღვსილი,
რომ აასრულა მშობლის ვალი
და გამოზარდა მამულის შვილი.

შენ გენაცვალოს კეკლუცი ყველა—ეუბნება მგოსანი ასეთ ქალს, ოხერიც იყოს მათი მშვენებაო.

„მე შენ არ გეტრფვი მშვენებისათვის,
არც თითები გაქვს ბროლივით თლილი.
მე გიამბორებ ხელზე მისათვის,
რომ მაგით გეპყრა **მამულიშვილი.**
შენ მკერდს ვემთხვევი მაქვს მე
სურვილი,
თეთრი რომ არის, მისთვის კი არა,
არა... მისთვის რომ მამულიშვილი
ჭეშმარიტ დედას მაგ გულში გეპყრა!..

როგორცა ხედავთ, პოეტის მთელი არსება, მთელი გრძნობა და ფიქრი ისევ და ისევ სამშობლოს დასტრიალებს. სამშობლო პოეტისათვის ის საკურთხეველია, რომელზედაც მსხვერპლად მოაქვს პირადი სიცოცხლე, პირადი ბედნიერება, მთელი თავისი ღვთიური ძალა და ნიჭი. აი, ამიტომ არის აკაკი უკვდავი მგოსანი ჩვენის ქვეყნისა ამიტომ არის რომ ყველა ქართველს თვალწინ უდგია მისი შარავანდედით შემკული სახე და მირონცხებული მაღალი შუბლი.

სამშობლო და მისი გამოფხიზლება-გაბედნიერება აი—ის მზე, რომელიც აბრწყინვებს აკაკის პოეზიას, ამ მშვენებასა და სიამაყეს მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის მწერლობისას. თითქმის სამოცი წელიწადი, აკაკის დაფი და ნაღარა „უყივოდა გმირებს" და გვასწავლიდა, გვიჩვენებდა გზას ცხოვრებისას, გზას გამოფხიზლებისას. გავა დრო და, მე მგონია, ვერც ერთი ქართველის გაყინული გული ვერ გაუძლებს ამ ყიჟინის, ამ მხილების ღვთიურ ცეცხლს და თან და თან გალხვება, გათბება გაყინული იგი გული ქართველისა და პოეტთან ერთად „ხატად გაიხდის სამშობლოს და სახატედ კი მთელ ქვეყანას". მაგრამ დღესდღეობით კი, საუბედუროთ, ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში იმისთანა, რომელიც ჩვენის პოეტისაგან აღგზნებულ ცეცხლს არ ეკარება და დღიურ სიცხადით გაოგნებული სინათლეს გაურბის!.. პოეტის აზრით, სხვათაშორის, ასეთები არიან ჩვენი ქალების უმრავლესობა—ეს ბურჯნი გადაგვარების გზაზე შემდგარ ოჯახებისა.

ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველს!" გულსაკლავად გვამცნო უკვდავმა ბარათაშვილმა, ხოლო ჩვენი ქალების ცხოველი გულის გამოცვლა სავსებითა და ძლიერებით დაგვიხატა აკაკიმ. ჩვენი ქვეყნის დიდი ქურუმი, რასაკვირველია, გულგრილად ვერ უყურებდა ჩვენი ქალების გადაგვარებას და ამიტომაც თავისებურის ნაღველითა თუ შხამით აღნიშნა ეს უბედურება ჩვენის ქვეყნისა. გაიხსენეთ მისი სატირული ლექსები მოპარუსკე ქართველი ქალების შესახებ, მოიგონეთ თუნდა ლექსი:

„ერთხელ, მხოლოდ ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება,

ან მოიგონეთ თუნდა შემდეგი ნაწყვეტი ერთის ლექსისა:

მიყვარს, კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო,
სამშობლო რასა მიქვიან
მეწყერსაც წაუღიაო!...

და თქვენ წინ გადაიშლება მთელი სურათი ჩვენის ახალთაობის თუ ოჯახის წევრთა აღზრდა-გაწრთვნისა და არ შეგიძლიათ ზიზღით არ მოიხსენიოთ ქართველი ერის დამამახინჯებელი პირობები...

მე პირადად ძალიან შორსა ვარ იმ შაბლონურ აზრზე, ვითომც ქალები—ქართველები იქნებიან იგინი თუ სხვა ტომისანი—მხოლოდ სამზარეულოსა და ოჯახის დაწმენდა დარეცხისათვის იყვნენ დაბადებულნი, მაგრამ დამახინჯებული დედა რომ დამახინჯებულ თაობას აღზრდის, ეს ეჭვს გარეშეა და ვისაც უყვარს ქვეყანა და მისი მომავალი ჩვენ დიდებულ პოეტთან ერთად უნდა შევიძულოთ არა ბუნებრივი აღზრდა ჩვენის შვილებისა, სულ ერთია ვაჟი იქნება იგი, თუ ქალი. მით უმეტეს, რომ ჩვენი ხალხი არაფერ განსხვავებას არა ხედავს ამ ორ სქესის უფლებათა შორის. პირიქით, ქალს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს იგი ერისა თუ კაცობრიობის წარმატების საქმეში. ევამ დაღუპა ქვეყანა და ევამვე უნდა ააშენოს იგი ქვეყანა. ასეთია ცხოვრების ლოღიკა და ვინც ქალებს მხოლოდ ტიკინებათა სთვლის და ზრდის, ის არის პირველი მტერი ქვეყნისა და მომავლისა. ასეთივე აზრისაა ჩვენი მგოსანი აკაკიც ქალების შესახებ და აკი ამიტომაც ასე სასტიკად ამათრახებს ჩვენის ცხოვრების გადამგვარებელ პირობებს.

როგორც ძნელია ზღვის კოვზით ამოწურვა, ისევე ძნელია აკაკი წერეთლის პოეზიის მოკლე საუბარში განმარტება და ამიტომ ჯერ-ჯერობით ვკმაყოფილდები იმითი, რაცა ვსთქვი. თუ მე გავკადნიერდი და გესაუბრებით, ეს იმიტომ, რომ თქვენთან ერთად გავითვალისწინო ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ყოფა მდგომარეობა, ჩვენი მწერლობის ვითარება და მცირედად მაინც აღვნიშნო ის დიდი ამაგი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ჩვენმა მწერლებმა დასდეს თავის ქვეყანასა და ხალხს.

ბარათაშვილი—ეს „სული ობოლი" და მწუხარება ჩვენის ქვეყნისა, ილია—ეს აზრი და ფიქრი ჩვენის ერისა და აკაკი—ეს გრძნობა და ტრფობა ჩვენის ხალხისა—აი, ის სამება—რომელთაც უკვდავ და უზრუნველჰყვეს ჩვენის ხალხის გამოფხიზლებისა და ფეხზე დადგომის საქმე. ეს სამებავე არის ჩვენის ენისა და მწერლობის აყვავების თავმდებიც.

მაშ მადლობით მოვიხსენიოთ მათი სხივმოსილი სახელი, და აღვასრულოთ მათი ნაანდერძევი.

ი. ს.

დათ დაინტერესებული არიან ომის ამბებით, მაგრამ სამწუხაროთ ქართულ ჟურნალ-გაზეთები აქ ნაკლებათ მოდის, ამიტომ ისინი მოკლებული არიან საშუალებას თვალყური ადევნონ ომს. კარგი იქნება, რომ ვინმე კეთილს ინებებდეს და მოგვაწვდიდეს ჟურნალ-გაზეთებს, უმჯობესი იქნება მე-3 № ლაზარეთში. შემდეგი ადრესით: Лазаретъ № 3 Тумковскихъ. Для раненныхъ грузинъ. Ессентуки. **გაბრიელ ჭყლიძე.**

— —

**ვლადიკავკავში იმყოფებიან.**

ივლიანე ტორაძე, გურია. არტემ ჯაში, გურია. გრიგოლ ჩხაიძე, გურია. ტრიფონ თედორაძე, ქუთ. მაზ. პავლე გეგუჩაძე, ქუთ. მაზ. ბიქტორ კობახიძე, ქუთ. მაზ. ონისიმე ჯანელიძე, ქუთ. მაზ. გაბო გურგენაშვილი, გორის მაზ. ლაზარე ხრიკაძე, გორის მაზ. ივანე მახარაშვილი გორის მაზ. ალექსანდრე დემურაშვილი გორის მაზ. არტემ კერესელიძე, შორაპნის მაზ. გიორგი გოგნაძე, შორაპნის მაზ. ზაქარია ლაცაბიძე, შორაპნის მაზ. ვლადიმერ მიხელიძე, შორაპნის მაზრა. ბესარიონ ბენავა, ზუგდიდის მაზ. დათა ლომთელიძე, რაჭის მაზ. ივანე რაზმაძე, რაჭის მაზ. ლავრენტი კოხრეიძე, ქუთაისი, დ. ჯიხაიში. იასონ ტურაშვილი, თელავი. მ. სიმონაშვილი, ბორჩალო. დავით ფრიდონაშვილი დუშეთის მაზ. გიორგი გოგიძე, თფილისი. კიმოთე წულაძე, გურია.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ სამშობლოში მუხიანის წიგნ-სამკითხველოს წლიურ ანგარიშს:

ხსენებულ სამკითხველოს ჰქონდა ძველი ვალი 1914 წ. 172 მან. 45 კ. ამას მივუმატოთ ამ წლის გასავალი 104 მან. 90 კ. სულ 277 მანეთი 35 კ. ამ წელში შემოსული 231 მან. 53 კ. ასე, რომ ნაწილი ვალი გაუსტუმრებია და დარჩა ვალი 1915 წლისთვის 45 მან. 82 კ.

აქვე მომყავს წევრთა სია. ერასტი ნ. ჯავოზძე. 4 მ. 60 კ. პარმენ ფუთური ძემ, ერმილე ინორიძემ **სამსამი მანეთი. და 60 კ.** გრიგოლ ფუთურიძემ, დათიკო ფუთურიძემ, ბიკტორ ფუთურიძემ, ალექსანდრე ყუბანეიშვილმა **სამსამი მანეთი.** ეკატერინა ცქიტიშვილისამ, ნინა ზუბულიძისამ, პრაკოფი კანდ ლაკმა, სპირიდონ ცქიტიშვილმა, ლეონტი ნუცუბიძემ. **ორორი მანეთი.** ილია ზ. მეულიძემ 1 მ. 60 კ. გიორგი ბ. ფუთურიძემ 1 მ. 50 კ. ისიდორე ლაშკარეიშვილმა, კლემენტი სვანაძემ, ალექსანდრე მ. ფუთურიძემ, ყარამან ჯაოხაძემ, ნიკოლა ბაბუნაშვილმა, ანტონ მარგველაშვილმა, იასონ გერსამიამ, დათიკო ბაბუნაშვილმა, პლატ. ბოძუაშვილმა, ვ ნ. თედორაძემ, ვას. გელაძემ, პეტ. ჯავახაძემ, გიგო ძოძუაშვილმა, რუჟდენ კოლუაშვილმა, ვლადიმერ ხაფავამ, იოსებ ფხაკაძემ, სანდრო სვანიძემ, ალექსანდრე შარაშენიძემ, ერისტო ყუფარაძემ, ლუკა ბაშელეიშვილმა, ალექსანდრე მდივანმა, გიორგი ქებულაძემ, დავით ნუცუბიძემ, ივანე ფხაკაძემ, სიმონ ძნელაძემ სოლომონ ფუთურიძემ, სევერიანე ბანძელაძემ, ვენედიკტე გრიგოლაშვილმა, ერმილო დეისაძემ, ილარიონ კვერნაძემ, საბა ფხაკაძემ, ლუკა ნუცუბიძემ, ალექსი კუხიანიძემ, სიმონ შაშიაშვილმა, გიორგი მექერია, იოსებ კახიძემ, ისიდორე ხაზარაძემ, ათანასა კიკვაძემ, სარქის ხაჩატუროვმა, ფარნა კირცხალავამ, ეგნატე დავითაიამ, ვარლამ ჩიხლაძემ, ვანო მიკალათიამ, მაქსიმე ხორავამ, ივლიანე თედორაძემ, იასონ გალდავამ, ნოე მაჭარაძემ, კარაპეტ მესტრაპიანცმა, ალისტრახო სურგულაძემ, მიტროფანე ლიონიძემ, ილიკო ვ. ბახტაძემ, ერმილე კეპულაძემ, გაბრიელ კაკუშაძემ, კირილე დიდიძემ, აკაკი ფუთურიძემ, გიორგი ელისაშვილმა, მაშიკო ფუთურიძემ, სიმონ ცულუხიძემ, გრიგოლ შენგელიამ, ივანე ნუცუბიძე, თითო მანეთი. ვასილ სირბილაძემ, ალექსი ბაბუნაშვილმა, ათ ათი შაური (50 კ.).

ქვემოთ მომყავს შემომწირველთა სია, რომელმაც კეთილი ინებეს და არ დაიშურეს თავიანთი წვლილი შემოწირულებით ფულით თუ წიგნით და ჟურნალ გაზეთებით. დიდი მადლობის ღირსნი არიან ქვემო მოყვანილი პირები. ძმებმა ბეგლარ, ნიკოლოზ და სარდიონ ბაბუნაშვილებმა 31 მან., ერასტიმ და ძმამ მისმა ყარამან განსვენებულმა ციბაძეებმა 13 მან—50 კ., ვლადიმერ ფილიპეს ძე ყუბანეიშვილმა, გიგო არეშიძემ და ალიონ ნ. ყ რაძემ ხუთ-ხუთი მანეთი, დომენტი კუჭაიძემ 3 მ., ექვთიმე ნიქაბაძემ, კოწია კეპულაძემ, გერმანე განაგებულმა, ჯიჯიკა ქობალავამ და ვასილი გვირიშიძემ ათ-ათი შაური. ქ. ეკატერინამ მათეს ასულმა ფხაკაძემ ერთი წლით სახალხო გაზეთი გამოუწერა. სოლომონ ინჯავაძემ გაზ. შრომა 3 თვით და ბაკო ფუტურაძემ შემ. 3 წიგნი 1 კალენდარი, ევროპის ქარტა ღირებული 3 მან. და 50 კ.

მუხიანის სამკითხველოს გამგე

**ეკატერინე ცქიტიშვილისა.**

---

## ღია წერილი.

**აკაკის დასაფლავებაზე მზრუნველთადმი.**

ქართველი ერის დიდებული მგოსნის დასაფლავება რომ ხდება წინააღმდეგ მისი ანდერძისა: (ან გელათში, ან ჩემს ს. სხვიტორში დამმარხეთო),—ამას დღეს ყველა ხედავს. თფილისის კომიტეტის ნაბძანები, რომ ყველასათვის განუსჯელათ სავალდებულო გახდა,—ესეც ყველასათვის აშკარაა. ამნაირათ, დღეს აკაკი თფილისში მთა წმინდაზე იმარხება. ამ უდაბურ, უმრავლესობისათვის მიუდგომელ-მიუწდომელ ადგილას მალვენ, მთელი ქართველი ერის გულში ხელუხლებელ ძეგლს ალმართვენ სახალხო პოეტმოლვაწეს. ამ კლდე-ღრიან ადგილში უნდათ ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის შეცთომით გასკვნილ სამირკველზე კედლების აშენება.

ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო აზრის წარმოთქმის ნება არავის მიეცა არც პრაქტიკულათ მის გადაწყვეტის დროს საერთო თათბირზე და არც მით უფრო პრესაში აძრულა და გარკვეულა ეს საკითხი, გარდა ორიოდე გაკვრითი სიტყვისა ბ. ვ. მასხულიასი „სამშობლოში“. მისი პრესაში გარკვევა აგერ ორი კვირა გადის არავინ მოისურვა და შეიძლება მსურველებს სხვა და სხვა მოსაზრებებით ხმა არ ამოაღებინეს, მიუხედავათ იმის, რომ სწორეთ აკაკის სიკვდილის გამო ჩვენი მოღვაწეების საპანთეონო ადგილზე გამოლაპარაკება ახლა შეგვეშვენოდა და შეგვეფეროდა....

რადგანაც საერთო თათბირის დროს არავინ მოგვისმინა, გადავწყვიტეთ სახელოვან მგოსნის სახელოვნათ დამარხვამდე პრესაში გამომეთქვა ჩემი აზრი, თუნდაც მარტოდ დავრჩენილიყავ. ასეთი ჩემი განზრახვა ამ დღეებში ასე იყო თუ ისე მე უკვე შევასრულე ერთ წერილში, მაგრამ აკაკის დამარხვამდე დასტამბვა ქუთათურ გაზეთ „სამშობლოს“ ხელმძღვანელმა უხერხულათ სცნო და დამიბრუნა იმ შეპირებით, რომ დასაფლავების შთაბეჭდილებათა შემდეგ ეს საპროტესტო აზრიც სხვა ფორმაში გამომეთქვა.

სხვადასხვა მოსაზრებით ნახელმძღვანელები, საჩხერეს დიდებულ, ქართველ მოღვაწისთვის უმაგალითო ხალხურ გამოსვენების მნახველი, ვსთხოვ გაზეთ „სამშობლოს“ ხელმძღვანელს დამიდასტუროს, რომ მას ამ დღეებში წარუდგინე ამ საკითხის გამო ვრცელი წერილი სათაურით: „სად და როგორ მარხვენ აკაკის“? რომელი წერილის დასტამბვაც, როგორც ზევითაც ვსთქვი, მან უხერხულათ სცნო.

ეს დასტური ჩემთვის საჭიროა შემდეგ ამ საკითხზე წერის ან ლაპარაკის დროს და იმედი მაქვს ბ. ხელმძღვანელი ამას მაინც დამიდასტურებს, თუნდაც თავის შენიშვნით უარის თქმის შესახებ. *)

პატივისცემით **ისიდორე კვიცარიძე.**

*) ვამბობთ, რომ ბ-ნმა ისიდორე კვიცარიძემ მართლაც მოგვიტანა ვრცელი წერილი. ამ წერილში იგი უსაყვედურებდა საზოგადოებას აკაკის დასაკრძალავ ადგილად მთაწმინდის ამორჩევისათვის, მაგრამ რაკი ეს საკითხი თითქმის ერთხმად უკვე გადაწყვეტილი იყო მთელი საზოგადოებისაგან, ბ-ნ კვიცარიძის წერილის დასტამბვა დ ა გ ვ ი ა ნ ე ბ უ ლ ა თ ა და უ ხ ე რ ხ უ ლ ა თ ვ ც ა ნ ი თ, რაზედაც თვით ბატონი ავტორიც დაგვეთანხმება.

**რედაქცია.**

---


**მატარებელთა მიმოსვლა.**
(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| **ბათომიდან** | 10 ს. 5 წ. დილ. |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| **ფოთიდან** | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. 55 წ. დილ. |
| | [illegible] |
| **ბათომში** | [illegible] |
| | 4 ს. 27 წ. დილ. |
| **ფოთში** | 4 ს. 14 წ. დღ. |

---

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 კაპ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.

**რუსული დ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**
**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები**
**გ. გ. გიგინეიშვილისა.**
1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.**
**ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.**
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

---

**ს. ს. ი. გ ო კ ი ე ლ ი ს** **შ-ბის ქუთაისში**
ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი
**აბრეშუმის ჭიის თესლის**
**ხ. ხრისტოდულიდის** ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**
**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.

---

**ქ უ თ ა ი ს ი.**
თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ
**დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ**
**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა,**
მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კით. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

---

**ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),**
მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

---

**გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა**
**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**
**თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**
**ფ ა ს ი 60 კ ა პ.** წ.

---

**ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.**
ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროის ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.
თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.
—— ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება. ——
ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი.** 12—5

---

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის**
**უ ფ ლ ე ბ ე ბ ი თ.**
თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

---

**ფოთის ახალ მაღაზიაში „უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ“**
**ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ**
მაღაზიაში **ი ყ ი დ ე ბ ა** მაღაზიაში
**უკანასკნელ მოდების, გალანტერეინის, შლიაპებისა და ხელსაწარმოების საქონლები:**
სხვა და სხვა კრუჟევა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშების და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.
რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. **დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%.**
თ. **პატივისცემით აინბინდერი.**

---



**ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,** რომ მე გავიყარე **ნ. ს. ტერკის ფირმას** და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.



**ს ა კ უ თ ა რ ი მ ა ღ ა ზ ი ა;**
ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა შემლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სანიდისიერათაც შევასრულო



ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.
მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი.**

---

**კალიგრაფიის** (ლამაზი და ჩქარი წერის) **კურსები.**
**(ნებადართულია მთავრობისაგან)**
**ვ ა ს წ ო რ ე ბ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა დ შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვასრულებ
**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**
თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. სალამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.
კალიგრაფიის მასწავლებელი **ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე.** კაზაკოვის ქუჩა, სახლი 13.

---

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ზურნალ
**„გ ა ნ თ ი ა დ ი“-ზე**
რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.
წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. **სამი თვით** 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.
წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.
ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართულ სკოლის გამგე მეთოდე გაგაბაძესთან, ფოთში: კოწია გამრეკელიძესთან, ბათომში: ხოსიკო მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. იას. მერაბ. დორქიჯვანიძესთან.
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. РомануСпирид. Панцхава.